



Funded by ENPARD –  
a European Union Programme  
supporting Agriculture and  
Rural Development



## ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია ყაზბეგის განვითარების ჯგუფი/ყაზბეგის სამოქმედო ჯგუფი

### მთავარი გამოწვევები და განვითარების პრიორიტეტები

აღნიშნული სტრატეგია 2016-2020 წლების სახელმძღვანელო დოკუმენტია ყაზბეგის განვითარების ჯგუფისთვის, ისევე როგორც სხვა ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისთვის. სტრატეგიამ ხელი უნდა შეუწყოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მდგრად განვითარებას ადგილობრივი ბიზნესის, სამოქალაქო და სამთავრობო სექტორების აქტიური ჩართულობით. სტრატეგია ასახავს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოვლენილ პრობლემებს და ხელს უწყობს ინვესტირებას პრიორიტეტულ სფეროებში.

აღნიშნული სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტების მხარდაჭერა ნაწილობრივ მოხდება ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში, რომელსაც ჩეხური ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“ ახორციელებს და ნაწილობრივ ყაზბეგის განვითარების ჯგუფის სხვადასხვა აქტივობებით.

ყაზბეგის განვითარების ჯგუფმა მოამზადა ყაზბეგის საჭიროებებისა და შესაძლებლობების ანალიზი და მის საფუძველზე განისაზღვრა პრიორიტეტული თემები და საქმიანობები, რომელიც დაფინანსდება საგრანტო კონკურსის ფარგლებში 2016 წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე. პროექტების დაფინანსება მოხდება მხოლოდ სტრატეგიაში ასახული პრიორიტეტების გათვალისწინებით. დაფინანსდება საჯარო, სათემო და ბიზნეს პროექტები. ყველა პროექტს მოეთხოვება თანადაფინანსება.

საჯარო სექტორიდან პროექტები შესაძლებელია წარმოადგინოს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებმა და სხვადასხვა საჯარო სტრუქტურებმა.

სათემო პროექტები შეიძლება წარმოადგინონ როგორც საინიციატივო ჯგუფებმა, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

ბიზნეს პროექტები შესაძლებელია წარმოადგინონ, როგორც არსებული მცირე ბიზნესის წარმომადგენლებმა (ორგანიზაცია რომელსაც 15 თანამშრომელზე ნაკლები ყავს დასაქმებული), ასევე ინდივიდუალურმა პირებმა.



Funded by ENPARD –  
a European Union Programme  
supporting Agriculture and  
Rural Development



სპეციფიური გამოწვევების გარდა, მოსახლეობასთან კონსულტაციის და ყაზბეგის განვითარების ჯგუფის მუშაობის შედეგად, გამოიკვეთა რამოდენიმე ურთიერთ-გადამკვეთი საკითხი: გარემოს დაცვის საკითხი, ადგილობრივი მომსახურების (სახელმწიფო და კერძო) არასაკმარისი ინსტიტუციური შესაძლებლობები, ახალგაზრდების მიგრაცია და სოფლების დაცლა.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, აღნიშნული გამოწვევების შედეგად, 5 პრიორიტეტული ამოცანა და 7 პრიორიტეტული სექტორი გამოიკვეთა, რაც ხელს შეუწყობს როგორც სოფლად განვითარებას, ასევე სხვა რესურსების მოზიდვას და ახალი პარტნიორების შექმნას.

### პრიორიტეტული ამოცანები

- სოფლის მეურნეობის არსებული მიმართულებების პროდუქტიულობის და ეფექტურობის გაზრდა და ახალი პერსპექტიული მიმართულებების დანერგვა
- ტურისტული სერვისების განვითარების მხარდაჭერა და სოფლებში შემოსავლის მრავალფეროვანი წყაროების შექმნა
- ყაზბეგის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა
- ყაზბეგიდან მიგრაციის შემცირების ხელშეწყობა
- გარემოსდაცვითი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა

### პრიორიტეტული სექტორები

- სოფლის მეურნეობა
- ტურიზმი და სხვა არა-სასოფლო სამეურნეო ბიზნესი
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა
- განათლება, სპორტი და კულტურა

### ურთიერთგადამკვეთი პრიორიტეტული სექტორები

- გარემოს დაცვა
- ახალგაზრდების მხარდაჭერა
- ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება

ცხრილში მოცემულია ყოველი პრიორიტეტული სექტორი, სამიზნე ჯგუფები და მოსალოდნელი შედეგები.

### **სოფლის მეურნეობის სექტორი**



Funded by ENPARD –  
a European Union Programme  
supporting Agriculture and  
Rural Development



**ყაზბეგის განვითარების სტრატეგიაში გამოკვეთილი პრიორიტეტი, რომელსაც უნდა პასუხობდეს საკონკურსო პროექტი**

- სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის და ეფექტურობის გაზრდა
- მიგრაციის შემცირებაში წვლილის შეტანა
- ეკოლოგიურად უსაფრთხო პრაქტიკის ხელშეწყობა

**ურთიერთგადამკვეთი პრიორიტეტული თემები**

- გარემოს დაცვა
- ახალგაზრდების მხარდაჭერა
- ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება

**სამიზნე ჯგუფები- ვის შეუძლია პროექტის წარდგენა და ვისზე უნდა იყოს მიმართული პროექტის ეფექტი**

ყაზბეგის ფერმერები, სოფლის მეურნეობით დაკავებული ან დაინტერესებული ახალგაზრდობა, სასოფლო სამეურნეო სერვისების მიმწოდებლები (კერძო და საჯარო), სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-გადამუშავებით დაკავებული ან დაინტერესებული კომპანიები და კერძო პირები

**პოტენციური საპროექტო მიმართულებები**

- ახალი გამოცდილების, მეთოდოლოგიის და აღჭურვილობის შემოტანა ყაზბეგში, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით
- კოოპერატივების შექმნა-განვითარება
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავება
- კვების უვნებლობის სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა
- წარმოების, დაფასოების, ბრენდირების და ბაზარზე ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა
- ენერგოეფექტური და ეკო/ბიო პრაქტიკის დანერგვა
- სოფლის მეურნეობაში ახალგაზრდული პროექტები
- იმ ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც დააბრუნებს მუდმივ მოსახლეობას
- არსებული ან დამწყები სასოფლო სამეურნეო სერვისების მიმწოდებლების (კერძო და საჯარო) შესაძლებლობების გაძლიერება

**მოსალოდნელი შედეგები, რომელზეც პროექტები უნდა იყოს მიმართული**

- გაზრდილი პროდუქტიულობა ტრადიციულ სასოფლო სამეურნეო დარგებში
- ბაზარზე უკეთესი წვდომა
- პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება
- სოფლის მეურნეობაში დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა
- ახალგაზრდობის ჩართულობა სოფლის მეურნეობაში
- ყაზბეგში ფერმერებისათვის კონსულტაციების, განათლების შესაძლებლობების და სხვა სერვისების მიწოდება
- ადგილობრივი ფერმერებისთვის სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლები გაზრდა

**ტურიზმი და სხვა არა-სასოფლო სამეურნეო ბიზნესები**

**ყაზბეგის განვითარების სტრატეგიაში გამოკვეთილი პრიორიტეტი, რომელსაც უნდა პასუხობდეს საკონკურსო პროექტი**



- ტურისტული სერვისების განვითარების და შემოსავლის დივერსიფიცირების მხარდაჭერა სოფლებში
- მიგრაციის შემცირებაში წვლილის შეტანა
- ეკოლოგიურად უსაფრთხო პრაქტიკის ხელშეწყობა

ურთიერთგადამკვეთი პრიორიტეტული თემები

- გარემოს დაცვა
- ახალგაზრდების მხარდაჭერა
- ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება

სამიზნე ჯგუფები- ვის შეუძლია პროექტის წარდგენა და ვისზე უნდა იყოს მიმართული პროექტის ეფექტი

- მოსახლეობა, რომელიც არ არის ტურისტული სერვისების მიმწოდებელი, მაგრამ ცხოვრობს ტურისტულ მარშრუტებთან ახლოს
- არსებული ან დამწყები ბიზნესები, რომლებიც გეგმავენ ახალი მომსახურების/პროდუქტების მიწოდებას ყაზბეგში
- არსებული ბიზნესები, რომლებიც გეგმავენ გაფართოვებას/ახალი სერვისების შეთავაზებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ზრდის მიზნით
- ტურიზმით ან სხვა ბიზნესის წამოწყებით დაინტერესებული ახალგაზრდები
- ის საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციები, რომლებიც ემსახურებიან ბიზნესის განვითარებას

პოტენციური საპროექტო მიმართულებები

- ცენტრიდან დაშორებულ სოფლებში ღამისთევის და კვების სერვისების მიმწოდებლების მხარდაჭერა
- ტურიზმთან დაკავშირებული სერვისების მხარდაჭერა
- ტურიზმთან დაკავშირებული პროდუქციის წარმოება
- სექტორთშორისი თანამშრომლობის (სოფლის მეურნეობა და ტურიზმი და ა. შ.) მხარდაჭერი ინიციატივები
- სხვა ინოვაციური პროდუქტები/სერვისები ყაზბეგის რაიონისთვის
- შემოსავლების დივერსიფიკაციის ინიციატივები ( აგრო ტურიზმი და ა.შ.)
- ენერგო-ეფექტური პრაქტიკა ტურიზმსა და სხვა ბიზნესებში
- ეკო/ბიო ტურიზმი, პროდუქცია, წარმოება, სერვისები
- ახალგაზრდობის ჩართულობა ტურიზმში და სხვა ბიზნესებში
- ყაზბეგის ეროვნულ პარკთან თანამშრომლობა
- ტურისტული სერვისების მიმწოდებლების და პოტენციური დამსაქმებლების უნარების ამაღლება-გაძლიერება
- იმ საჯარო და კერძო ინსტიტუციების შესაძლებლობების გაძლიერება, რომლებიც ხელს უწყობენ ტურიზმის და ბიზნესის განვითარებას ყაზბეგში

მოსალოდნელი შედეგები, რომელზეც პროექტები უნდა იყოს მიმართული

- ცენტრიდან მოშორებული სოფლების უფრო მეტი მოსახლეობა იღებს სარგებელს ტურიზმიდან
- უფრო მეტი ტურიზმთან დაკავშირებული სხვადასხვა სერვისები განვითარდა
- ეკოლოგიურად უსაფრთხო პრაქტიკა გამოიყენება ტურიზმში და სხვა ბიზნეს



Funded by ENPARD –  
a European Union Programme  
supporting Agriculture and  
Rural Development



- სექტორებში ყაზბეგში**
- უფრო მეტი ახალგაზრდაა ჩართული ტურიზმში
  - გამყარდა თანამშრომლობა ფერმერებსა და ტურისტული სერვისების მიმწოდებლებს შორის
  - უფრო მეტი ხალხია დასაქმებული ტურიზმის სექტორში და შემცირებულია მიგრაცია
  - ბიზნეს სერვისების ხარისხი გაუმჯობესდა
  - ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების შესაძლებლობები გაძლიერდა
  - ეროვნულ პარკთან თანამშრომლობა გაიზარდა და გარემოს დაცვითი ცნობიერება ამაღლდა

**საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა**

- ყაზბეგის განვითარების სტრატეგიაში გამოკვეთილი პრიორიტეტი, რომელსაც უნდა პასუხობდეს საკონკურსო პროექტი**
- ყაზბეგის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების ხელშეწყობა
  - მიგრაციის შემცირებაში წვლილის შეტანა
  - ეკოლოგიურად უსაფრთხო პრაქტიკის ხელშეწყობა
- ურთიერთგადამკვეთი თემები**
- გარემოს დაცვა
  - ახალგაზრდების მხარდამჭერა
  - ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება

- სამიზნე ჯგუფები- ვის შეუძლია პროექტის წარდგენა და ვისზე უნდა იყოს მიმართული პროექტის ეფექტი**
- ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობა
  - განსაკუთრებული საჭიროების, სოციალურად დაუცველი და ა.შ. ჯგუფები ყველა თემში
  - დაცლილი სოფლების მკვიდრნი
  - არასამთავრობო ორგანიზაციები და საჯარო სტრუქტურები, რომლებიც ემსახურებიან მოსახლეობას

- პოტენციური საპროექტო მიმართულებები**
- ადგილობრივი (შიდა რაიონული) სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესება
  - საინფორმაციო და სარეკლამო დაფები სოფლებში
  - სათემო ინფრასტრუქტურა სხვადასხვა ჯგუფებისათვის (ქალები, ბავშვები, მოხუცებულები და სხვ)
  - მცირე აღჭურვილობა კომუნალური სერვისებისთვის და კატაკლიზმების ზიანის შემცირებისათვის
  - სატრანსპორტო უსაფრთხოების ზომების გაძლიერება
  - ჯანდაცვაზე და სოციალურ მომსახურებაზე წვდომის გაუმჯობესება
  - საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სანიტარული უსაფრთხოების ხელმისაწვდომობის გაზრდა
  - კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია და კონსერვაცია
  - გაუმჯობესებული ნარჩენების მართვის სისტემები
  - გამწვანება, საზოგადოებრივი პარკების და ბილიკების მოწყობა
  - ახალგაზრდული ინფრასტრუქტურა-განათლება, სპორტი, კულტურა
  - მობილური და ინტერნეტ დაფარვის გაუმჯობესების ინიციატივები



Funded by ENPARD –  
a European Union Programme  
supporting Agriculture and  
Rural Development



- სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივები
- ნიადაგის და ბუნებრივი რესურსების მართვის გაუმჯობესების ინიციატივები
- დასაქმების ხელშეწყობის სერვისები
- ალტერნატიულ ენერჯიაზე მომუშავე მოწყობილობების პოპულარიზაცია

**მოსალოდნელი შედეგები, რომელზეც პროექტი უნდა იყოს მიმართული**

- ყაზბეგის თემებში ცხოვრების ხარისხის ამაღლება-უსაფრთხოება და სერვისები გაუმჯობესდება
- სხვადასხვა ჯგუფებისთვის სათემო ინფრასტრუქტურაზე წვდომა გაიზრდება
- ცენტრიდან დაშორებული სოფლებიდან მიგრაცია შემცირდება
- ყველა ჯგუფისთვის საგანმანათლებლო შესაძლებლობებზე მეტი წვდომა
- გაუმჯობესებული ეფექტური ნარჩენების მართვა და ცნობიერების ამაღლება
- სოციალურ სერვისებზე , ჯანდაცვაზე და კომუნიკაციაზე უკეთესი წვდომა
- გარემოს დაცვის პრაქტიკის გაუმჯობესება და ცნობიერების ამაღლება
- არსებული სერვისები გაუმჯობესდება ან დაინერგება ახლები დასაქმების ხელშესაწყობად
- კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციის ხელშეწყობა მოსახლეობის აქტიური ჩართულობით

**განათლება, სპორტი, კულტურა**

**ყაზბეგის განვითარების სტრატეგიაში გამოკვეთილი პრიორიტეტი, რომელსაც უნდა პასუხობდეს საკონკურსო პროექტი**

- ყაზბეგის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების ხელშეწყობა
- მიგრაციის შემცირებაში წვლილის შეტანა

**ურთიერთგადამკვეთი თემები**

- გარემოს დაცვა
- ახალგაზრდების მხარდაჭერა
- ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება

**სამიზნე ჯგუფები- ვის შეუძლია პროექტის წარდგენა და ვისზე უნდა იყოს მიმართული პროექტის ეფექტი**

პროფესიული და არაფორმალური განათლებით დაინტერესებული მოსახლეობა, ფერმერები და ბიზნესები, ბავშვები, შშმ პირები, ხელოვნები, ხელოსნები და სპორტსმენები, ახალგაზრდები და ქალები, საჯარო, არასამთავრობო და ბიზნეს ორგანიზაციები, რომლებიც ამ სფეროებს ემსახურებიან.

**პოტენციური საპროექტო მიმართულებები**

- ადგილობრივი ხელოვნების და ხელოსნების პოპულარიზაცია
- სპორტული და კულტურული აქტივობების ხელშეწყობა
- შესაძლებლობები არაფორმალური და პროფესიული განათლებისთვის
- ციფრული ბიბლიოთეკის/თვის-განათლების შესაძლებლობების ხელშეწყობა
- ყაზბეგის მემკვიდრეობის და კულტურის პოპულარიზაცია
- ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა განათლების, სპორტის და კულტურის სფეროებში
- ადგილობრივი ინსტიტუციების ხელშეწყობა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების/მომსახურებების მიწოდებაში
- გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა



Funded by ENPARD –  
a European Union Programme  
supporting Agriculture and  
Rural Development



**მოსალოდნელი შედეგები, რომელზეც პროექტები უნდა იყოს მიმართული**

- საგანმანათლებლო შესაძლებლობებზე მეტი წვდომა და უკეთესი ინფრასტრუქტურა
- გაფარდოვდება კულტურული ცხოვრება და სოციალური ჩართულობა სოფლების და მუნიციპალიტეტის დონეზე
- ადგილობრივი ხელოვნებისთვის და ხელოსნებისთვის მეტი შესაძლებლობები პოპულარიზაციასა და შემოსავლის გაზრდისათვის
- ახალგაზრდებისთვის მეტი შესაძლებლობები საკუთარ თემებში/სოფლებში
- ამალგებულდება ცნობიერება ადგილობრივი მემკვიდრეობის, კულტურის და ბუნების დაცვაზე

ყაზბეგის განვითარების სტრატეგიის მოსახელობასთან წარდგენის შემდეგ, დეტალური კონსულტაციები და საინფორმაციო შეხვედრები გაიმართება პროექტების ფორმატის, შესაბამისობისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ ყველა დაინტერესებული პირისათვის.

პროექტის წარმოდგენით დაინტერესებულმა ყველა პირმა უნდა გაიაროს სავალდებულო ტრენინგები და კონსულტაციები, რომელზეც დეტალურ ინფორმაციას გავავრცელებთ მოგვიანებით.

გუდაურის თემიდან საპროექტო განაცხადის წარდგენის მსურველებისთვის 24 მაისიდან 27 მაისის ჩათვლით იმუშავებს ცხელი ხაზი, რომელზეც დაინტერესებულმა პირმა უნდა დააფიქსიროს თავისი იდეა და ასევე მიიღოს კონსულტაცია.

ცხელი ხაზის ნომერია: 591 800 922, 10-დან 18 საათამდე.